საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები - თ. გ., ზ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.04.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 033/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ. -ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ. -სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს თ. გ. -მ და ზ. კ. -მ და მოითხოვეს ადვოკატ ა. კ. -სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2022 წლის 30 დეკემბერს ზ. კ. -ს ისანი - სამგორის N6 განყოფილებაში წაუყენეს ბრალი და თ. გ. მეუღლის - ზ. კ. -ს, ინტერესების დასაცავად, საადვოკატო მომსახურებისთვის შეუთანხმდა ადვოკატ ა. კ. -ს. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატმა მომსახურების გაწევისთვის მოითხოვა 4000 აშშ დოლარი, რომლის სანაცვლოს ის კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელებდა ყველა საჭირო მოქმედებას, კერძოდ, ადვოკატი დაესწრებოდა ბრალის წარდგენის სხდომას, შეისწავლიდა საქმის მასალებს, ჩაერთვებოდა

გამოძიების ეტაპზე ყველა საგამოძიებო მოქმედებაში და სასამართლო პროცესებზე განახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას. საჩივრის ავტორთა განცხადებით, პირველ ეტაპზე ადვოკატს ჩაურიცხეს ორდერის თანხა, 500 ლარი. სასამართლო პროცესის ჩანიშვნამდე, ადვოკატი დაუკავშირდა მათ და ითხოვა, გარკვეული ოდენების თანხის მისთვის დამატებით ჩარიცხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი ვერ შეძლებდა მომსახურების გაწევას. თ. გ. -მ განმარტა, რომ რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, შესაბამისად ოჯახს ჰქონდა მძიმე ეკონომიკური მდგომარობა, ამიტომ ადვოკატისთვის თანხის ჩარიცხვა მათთვის დიდ ძალისხმევას უკავშირდებოდა, თუმცა მეუღლის თავისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებული აღმოჩნდნენ თანხმობა განეცხადებინათ მისთვის თანხა ჩაერიცხათ. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატს პირველი ჩარიცხვიდან უახლოესი ორი კვირის ვადაში, ნაწილ-ნაწილ ჩაურიცხეს ჯამში 2000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხები, გარდა ორდერის თანხისა, ადვოკატ ა. კ. -ს მითითების შესაბამისად, მათ გადარიცხეს გ. გ. -ს პირად ანგარიშზე, შემდეგ კი სატელეფონო შეტყობინებების სახით, გადახდის ქვითრების მეშვეობით ადვოკატს უდასტურებდნენ თანხის ჩარიცხვების შესახებ ინფორმაციას. მომჩივანთა პოზიციით ვინაიდან ადვოკატი ორიენტირებული იყო ფულად სახსრებზე, ყოველდღე ურეკავდა მათ თანხასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა ა. კ. -მ მას შემდეგ რაც თანხები სრულად მიიღო, გაწყვიტა მათთან კომუნიკაცია. ადვოკატი 4 ჩატარებული სასამართლო პროცესიდან გამოცხადდა მხოლოდ 2 პროცესზე. ერთ პროცესზე ადვოკატი საერთოდ არ გამოცხადებულა, გამოუცხადებლობის დამადასტურებელი საპატიო მიზეზიც არ წარუდგენია სასამართლოსთვის, შესაბამისად მოსამართლემ პროცესზე გამოუცხადებლობის გამო ის დააჯარიმა 200 ლარით. ადვოკატი პროცესის დასრულების შემდეგაც არ დაინტერესებულა პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ადვოკატი ჯარიმის გამოწერის შემდეგ, მომდევნო სხდომაზეც არ გამოცხადდა - მან კლიენტთა გაფრთხილების გარეშე, პროცესზე სრულიად უცხო ადამიანი გამოუშვა, რომელსაც მათთვის საადვოკატო მომსახურება არ გაუწევია - პროცესის მსვლელობისას არაფერი უთქვამს.

1.4 მომჩივანთა პოზიციით, ადვოკატი არ პასუხობდა მათ ზარებსა და შეტყობინებას. ზ. კ. -მ დაჟინებული თხოვნის შედეგად, მხოლოდ ორჯერ მოახერხა პირისპირ შეხვედროდა ადვოკატს. ადვოკატი უპასუხისმგებლობას იჩენდა გამომძიებლისა და პროკურატურის მიმართაც, რადგან არაერთი მცდელობის მიუხედავად, გამომძიებელი ადვოკატ ა. კ. -ს ვერ დაუკავშირდა. მომჩივანთა პოზიციით, მათ ადვოკატს სთხოვეს, რომ დასწრებოდა ზ. კ. -სთვის ბრალის წარდგენის პროცესს, თუმცა ადვოკატმა საპატიო მიზეზის განმარტების გარეშე აღნიშნა, რომ ვერ დაესწრებოდა ბრალის წარდგენას და შეეძლო სულაც არ ეპასუხა გამომძიებლის ზარებისთვის. აგრეთვე, ადვოკატს არ გამოუთხოვია საქმის მასალები, რათა საქმე შეესწავლა.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ზ. კ. -ს სასამართლომ დააკისრა აღკვეთის ღონისძიება - გირაო 4000 ლარის ოდენობით, ადვოკატი მათ დაუკავშირდა და იკითხა, თუ რა ოდენობის თანხა ჰქონდათ შეგროვებული. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს განუცხადეს, რომ ხელთ 2000 ლარი ჰქონდათ, ადვოკატმა თ. გ. -ს უთხრა, რომ ეს თანხა მისთვის ჩაერიცხათ და ამით მასთან ანგარიში

გასწორებული იქნებოდა, ხოლო ზ. კ. -ს გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო არ დაიჭერდნენ. ამასთან, ადვოკატმა მათ მისცათ რჩევა, რომ არ განეცხადებინათ, რომ ჰქონდათ სოციალურად დაუცველის სტატუსი, რადგან ეს არაფერში დაეხმარებოდათ.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა მიღებული თანხის ფარგლებში არ გაუწიათ მომსახურება, შეწყვიტა მათთან კომუნიკაცია და სამართლებრივ დავაში ისინი მიატოვა. ვინაიდან ადვოკატი უპასუხისმგებლობას იჩენდა მათ მიმართ, იძულებული გახდნენ თავად განეცხადებინათ მისთვის აცილება, ამ ინფორმაციის მიწოდება სცადეს ადვოკატთან, თუმცა ადვოკატმა არ უპასუხათ და მოგვიანებით დაუკავშირდათ ადვოკატის თანაშემწე, რადგან ა. კ. მათთან საუბარს თავს არიდებდა. ასევე, ადვოკატი უარყოფდა მათგან თანხის მიღების ფაქტს და მათი აღქმით, ადვოკატი დაემუქრათ, რომ „მათ არ იცოდნენ ვის ესაუბრებოდნენ; მათი ასეთი ქმედებებით იმდენს გააკეთებდნენ, რაც ზ. კ. -ს დაკავებას გამოიწვევდა“.

1.7 2023 წლის 8 მაისს, საჩივრის ავტორებმა განცხადებით მომართეს ეთიკის კომისიას, სადაც განმარტეს, რომ ადვოკატ ა. კ. -ს მიმართ აღარ აქვთ პრეტენზია და მოითხოვეს დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატს საჩივრის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სატელეფონო შეტყობინების გზით და საჩივარი ჩაბარდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ადვოკატს საჩივართან დაკავშირებით ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. კ. არის ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია სისხლის სამართალი.

3.2 საჩივრის ავტორებმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2023 წლის 26 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022-2023 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. კ. -ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2023 წლის 8 მაისს, საჩივრის ავტორებმა განცხადებით მომართეს ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითეს, რომ მათ მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ადვოკატ ა. კ. -ს მიმართ არ აქვთ პრეტენზია და სურთ, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) („ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორებმა უარი თქვეს საჩივარზე, ადვოკატ ა. კ. -ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.3 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 22.1(ბ) მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №033/23 ადვოკატ ა. კ. -ს /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/